საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მისხალი

მისხალი, მასის (მოცულობის) ერთეული. შეადგენდა 4.6 *გ*, ანუ 6 დანგს. მომდინარეობს ირანულ-ერაყული და არაბული მასის (მოცულობის) ერთეულ მისკალიდან. გამოიყენებოდა ძვირფასი ლითონებისა და ქვების, ვარდის ზეთისა და სხვათა ასაწონად.

მ-ის სახელით ცნობილია აგრეთვე ყურძნის ჯიში (იგივეა, რაც ვაღარშაპატის დოლბანდი). თეთრი ყურძენი სუფრის ჯიშად ითვლება, მაგრამ სომხეთში მისგან ღვინოსაც აყენებენ. მცირე რაოდენობით გვხვდება მისი შავი სახეობაც.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, წგ. 2, თბ., 1986 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 5); ჯ ა ფ ა რ ი ძ ე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX–XIX სს.), თბ., 1973; X и н ц B., Мусульманские веса и меры с переводом на метрическую систему, пер. с нем., М., 1970.

გ. ჯაფარიძე